



KA

თითის ანაბეჭდები და *Eurodac*

ინფორმაციები ევროკავშირის დირექტივის (EU) Nr. 603/ 2013, მუხლი 29 (3) მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არ მქონე პირებისათვის, რომლებიც არაღეგალოურად იმყოფებიან ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ დუბლინის ერთ-ერთ სახელმწიფოში

¹⁾ არალეგალურად იმყოფებით, ოფიციალურ უწყებებს შეუძლიათ თქვენი თითის ანაბეჭდების აღება და მისი გადაცემა თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზისათვის „Eurodac“. ეს ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რომ დადგენილი იქნას, გაქვთ თუ არა აქამდე თავშესაფრის მიღების განაცხადება შემოტანილი. თქვენი თითის ანაბეჭდები არ შეინახება Eurodac-მონაცემთა ბაზაში, მაგრამ თუკი თქვენ ერთხელ უკვე შეიტანეთ თავშესაფრის მიღების განაცხადი სხვა სახელმწიფოში, შესაძლებელია, გაგზავნილი იქნათ ამ სახელმწიფოში.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი თითის ანაბეჭდები ცუდი ხარისხის იქნება, მათ შორის იმიტომ, რომ თქვენი თითები დაიზიანეთ, შემდგომში კვლავ მოხდება თქვენი თითის ანაბეჭდების აღება.

Eurodac ფუნქციონირებს ევროკავშირის სააგენტოს საფუძველზე, რომელსაც „eu-LISA“ ეწოდება. თქვენი მონაცემები წინასწარ განსაზღვრული მიზნებით მხოლოდ ოფიციალურად იქნება გამოყენებული. თქვენს მონაცემებს მიიღებს მხოლოდ Eurodac-ცენტრალური სისტემა. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ მომავალში დუბლინის ერთ-ერთ სახელმწიფოში თავშესაფრის მიღების განაცხადს შეიტანთ, თქვენი თითის ანაბეჭდები აღებული იქნება Eurodac-თვის გადასაცემად. Eurodac-ში შენახული მონაცემები არ გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან „ორგანიზაციას“, რომელიც არ განკუთვნილია დუბლინის სახელმწიფოთა რიცხვს.

- 1) შეეხება მთელს ევროპის კავშირს (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო) ასევე დუბლინის პროცესის ოთხ „ასოცირებულ“ სახელმწიფოს (ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია და ლიხტენშტაინი).

© ევროკავშირი 2014

ასლის გადაღება და გამრავლება ნებადართულია. ცალკეული ფოტოების გამოყენების ან გამრავლების ნებართვა მიღებული უნდა იქნას უშუალოდ საავტორო უფლების მფლობელისაგან

საკონტაქტო პირთან დაკავშირებული მონაცემები

თავშესაფრის მაძიებელთა
ოფიციალური უწყების
მისამართი და დეტალური
მონაცემები
Bundesamt für Migration und
Flüchtlinge (BAMF)
Frankenstraße 210
90461 Nürnberg
ტელ: +49 (0)911 943 0
ფაქსი: +49 (0)911 943 10000
ელ. ფოსტა: service@bamf.bund.de

მისამართი და დეტალური
მონაცემები/ Eurodac-
კონტროლიორის შესახებ
Bundeskriminalamt (BKA)
65173 Wiesbaden
ტელ: +49 (0)611 55 0
ფაქსი: +49 (0)611 55 12141
www.bka.de

იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი
ოფიციალური უწყებები
ვარაუდობენ, რომ თქვენ
თავშესაფრის მიღების განაცხადი
შესაძლებელია დაყენებული
გქონდეთ სხვა სახელმწიფოში და
ეს სახელმწიფო უფლებამოსილია,
თქვენი განაცხადის განხილვაზე,
თქვენ მიიღებთ დეტალურ
ინფორმაციებს შემდგომ
პროცესთან დაკავშირებით და
იმასთან დაკავშირებით, თუ
რამდენად არის ეს ყოველივე
შეხებაში თქვენთან და თქვენს
უფლებებთან.

